ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №2
2022 წლის 28 იანვარი

ქ. ბაღდათი

„ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის-საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობის დამტკიცების შესახებ“, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილი იქნეს ცვლილება „ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის-საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობის დამტკიცების შესახებ“, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №80 დადგენილებაში (საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი, www.matsne.gov.ge. 04.01.2019წ. სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.124.016356) და დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-12-13-14 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

№	თანამდებობათა დასახელება	საშტატო ნუსხა	თანამდებობრივი რანგი	თანამდებობრივი სარგო	თანამდებობრივი სარგოს კოეფიციენტი
12	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში	1	III	1100	1.0
13	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საქმის წარმოების საკითხებში	1	III	1100	1.0
14	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში	1	III	1100	1.0

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2022 წლის 1 მარტიდან.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ნოდარ გიორგიძე**